საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 64

პარასკევი, ნოემბრის 4

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმნაზიის მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს

სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია

მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში.

წითელი დღესასწაული

ნოემბრის 7-ს ახალი სტილით, სრულდება ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავი, რუსეთის პროლეტარიატს ეს მეოთხეჯერ უხდება ზეიმით შეხვდეს დიდი აქტის დღესასწაულს და ერთხელ კიდევ შეაფასოს ოთხი წლის ნაშრომნამოქმედარი.

ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა და მისი ღირებულება მარტო რუსეთის ფარგლებით არ შეიძლება შემოისაზღვროს. მისი დიადი მნიშვნელობა საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობაში მარხია და ამ დატიდან იწყება სრულიად ახალი ხანა, ახალი ეპოქა და პერიოდი მსოფლიოს ვითარებაში. თუ ომის დასაწყისსა და ომის დროს მსოფლიოში ერთი მეორეს უპირისპირდება ორი მოწინააღმდეგე, მაგრამ ერთნაირი სოციალური მრწამსის მატარებელი იმპერიალისტური სახელმწიფოები, ომის მიწურულებში და მისი დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ძალთა განყობილების რუქა არსებითად შეიცვალა, და ერთი მეორეს დაუპირისპირდა საერთაშორისო მაშტაბში ორი დიამეტრალურად სხვა და სხვა მიზნების და სოციალური პროგრამის მატარებელი ძალები. ეს ძალებია პროლეტარიატი და ბურჟუაზია, რომელთა სამოქმედო გზა რევოლუციისა და იმპერიალიზმის გზებით მიემართება. დღეს ერთიმეორეს ებრძვის ორი მსოფლიო, ორი სოციალური მრწამსი და კულტურული მორალი. ის მკვეთრი ეკონომიური ბრძოლა, რომელიც ამ ორ სოციალურ კლასთა შორის სწარმოებდა ისტორიის ჭ დარით მოსილ სარბიელზე, და რომელიც აქა-იქ გადაიქცეოდა ხოლმე სამოქალაქო ომად, თანამედროვე დიდი ომის მიერ შექმნილ სოციალ-პოლიტიკურ პირობების გამო, თავის ლოღიკურს დასკვნამდე მივიდა და მსოფლიო რევოლუციის შეუწყვეტელი შინაარსი მიიღო. პროლეტარი და მშრომელი გლეხობა აქტიურად ჩაერია თანამედროვე ცხოვრების ვითარებაში და ძალდატანებით შეუდგა კაპიტალიზმის ბატონობის ახალ სამართლიან სოციალურ საფუძვლებზედ გარდაქმნას. დღევანდელი ხანა არის განუწყვეტელი მკაცრი სოციალური ბრძოლების პერიოდი. და ამ ბრძოლის ერთ მხარეზე სდგას საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელსაც მეთაურობს და მოქმედების პლატფორმას უქადავს საბჭოთა რესპუბლიკები და მესამე ინტერნაციონალი. მეორე მხარეზე—კი ბურჟუაზია გამარჯვებულ ანტანტისა და „ხალხთა ლიგის“ მეთაურობით. ეს არის სახელმწიფო ფორმებში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული კლასთა ბრძოლა, დამთავრებული სოციალური ომი, რომლის საგულისხმო და მნიშვნელოვანი ეპიზოდები მსოფლიოს ყველა მხარეში და კუთხეში ხდება, შესაფერისის ტემპით წარმოებს.

რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია დასაწყისი იყო მსოფლიო მასშტაბით ამ დიდი სოციალური ბრძოლის გაჩაღებისა, ომის ვითარების დროს გაშმაგებულ და დაბნეულ პროლეტარიატის გამოსაფხიზლებლად და მათი დასარაზმავად მოსისხლე მტრების განადგურებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირიანფესვიანად უარყო მუშათა მოძრაობის ძველი ფორმები და ახალ შექმნილ გარემოებასთან შეტანილი სახე და მეთოდები მისცა სოციალურ რევოლუციას. ეს ახალი ლოზუნგები, ფორმები და ბრძოლის მეთოდები ხდება მებრძოლი პროლეტარიატის სამოქმედო ხაზად მთელს მსოფლიოში. საბჭოთა სისტემა და მშრომელთა დიქტატურა საერთაშორისო პროლეტარიატის დიად ლოზუნგს წარმოადგენს და მის გარშემო იკრიბება მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები.

ოთხი წლის დიდმა და მიზანშეწონილმა მუშაობამ თავის [illegible] ნაყოფი გამოიღო, ჩვენ კარგად გვახსოვს ის დრო, როდესაც ევროპის პროლეტარიატის დიდი უმეტესი ნაწილი სოციალ-პატრიოტების ორგანიზაციის ქვეშ იდგნენ და მათთან ერთად ზურგს უმაგრებდნენ თავიანთ იმპერიალისტებს. რუსეთის დიდმა რევოლუციამ ეს განწყობილება ევროპის მუშათა წრეებისა არსებითად შესცვალა, გარდატეხა და უჩვენა მათ სრულიად ახალი გზები მშრომელი მასების განთავისუფლებლად. დღეს ჩვენ ევროპის პროლეტარიატის გამოფხიზლების წინაშე ვდგევართ და აჩქარებულის ტემპით ხდება ძირმომპალ სოციალ-იმპერიალისტების ორგანიზაციების დაშლა და განადგურება. ამას საწინააღმდეგოთ პარალელური გზით ხდება პროგრესიული ზრდა კომუნისტური და რევოლუციონური ორგანიზაციებისა მთელს მსოფლიოში. რუსეთის რევოლუციის იდეური და მორალური ზეგავლენა, განსაკუთრებით პროლეტარიატის გამოფხიზლებაში, მათში შეგნების შეტანაში გამოიხატა. მშრომელი მასა დღეს ახალი მომენტების წინ სდგას მთლიან ორგანიზაციებში გამაგრებული და ემზადება ახალი გადამწყვეტი ბრძოლის მისაცემათ.

რუსეთის რევოლიუციამ, ოქტომბრის დიადმა აქტმა მსოფლიო შეარყია, დარაზმა ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ და ახალი შესაძლებლობის წინაშე დააყენა იგი.

ოქტომბრის დიდი გადატრიალების ლოზუნგების ქვეშ ჩატარდა ევროპის თანამედროვე რევოლიუციები: ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა, ბავარიის, ფინეთის, ბალტიის ზოგიერთი სახელმწიფოების რევოლიუციები, თვით გერმანიის რევოლიუციის „სპარტაკელების“ სახით ოქტომბრის სისტემა და პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგები ამშვენებდნენ.

ევროპის გამარჯვებულმა რეაქციამ სისხლის მორევში ჩაახშო ყველა ეს რევოლიუციები და პროლეტარიატი კვლავ თავის ბატონობის ქვეშ დააყენა. მაგრამ ბრძოლის პროცესიები ბურჟუაზიის დროული გამარჯვების გამო, არ შეწყვეტილა. დღეს უფრო მკაცრად, ვინემ ოდესმე, ევროპის პროლეტარიატი ემზადება გადამწყვეტ ბრძოლისათვის და მისი ორგანიზაციული და რევოლიუციონური მუშაობა ბურჟუაზიის საბოლოო განადგურებისაკენ არის მიმართული. ევროპის მშრომელმა კლასმა დიდს დამარცხებებით მიიღო შესაფერისი გამოცდილება, დაიმკვიდრა გაკვეთილები რევოლიუციონური ბრძოლისათვის, და ეს მოუზადებს დიდ შანსებს იძლევა გამარჯვების კეთილად დასაგვირგვინებლად. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ომის მიერ დაშლილ საწარმოო ძალების გამრთელება და სამეურნეო წონასწორობის აღდგენა მსოფლიოში. დღეს პროლეტარულ რაზმების კოლოსალურ ზრდასთან ერთად ხდება კაპიტალისტური მეურნეობის დეგენერაცია და განადგურება, კაპიტალისტური კულტურის ამორალიზმის გამომჟღავნება. ამ დიდ საერთაშორისო მომენტებში პროლეტარიატის აქტიურ გამოსვლას, მის რევოლიუციონურ შემოქმედებასა და ენთუზიაზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საერთაშორისო პროლეტარიატში ამ რევოლიუციონური ენერგიისა და ენთუზიაზმის შემტანი არის ოქტომბრის დიდი გადატრიალება, საბჭოთა რესპუბლიკები დიდს საერთაშორისო რევოლიუციის გამტარებელ ძალას წარმოადგენს, ის კერა არის მსოფლიო რევოლიუციისა, მისი ყვავარჯენი და დამცველი. საერთაშორისო ძალთა ჭიდილში საბჭოთა რუსეთი გამოდის როგორც რევოლიუციის შეურყეველი ფუძე, როგორც მისი რეალური ძალა.

და ოქტომბრის გადატრიალების ოთხი წლის თავი ეს საერთაშორისო პროლეტარიატის წითელი დღესასწაულია, ახალი მსოფლიოს დასაწყისის მოგონება, მისი საბრძოლველი პროგრამის სიდიადის დადასტურებაა.

სიმონ ხუნდაძე.

პარტიული ყრილობა

2 ნოემბერი.

მეექვსე სხდომა

თავმჯდომარეობს ი. ფანცხავა.

დილის 12 საათზე იწყება. სარეზოლიუციო კომისია აცხადებს, რომ სასურველია გაგრძელდეს კამათი ინტერნაციონალის შესახებ და რეზოლიუცია კი ამ საკითხზე გამოტანილი იქნება მომენტსა და ტაქტის და საბჭოთა სისტემის შესახებ მოხსენებების შემდეგ. ეს განცხადება ყრილობამ მიიღო. გრძელდება კამათი ინტერნაციონალზე. მონაწილეობენ ამხ—ბი: ხოფერია, ღლონტი, ასათიანი, კოტეტიშვილი, გავაშელი.

მეშვიდე სხდომა.

გაიხსნა სად. 7 საათზე. პირველად სხდომა ისმენს მომხსენებელ ს. ხუნდაძის საპასუხო სიტყვას ინტერნაციონალზე. შემდეგ მოხსენებას აკეთებს მომენტსა და ტაქტიკაზე ამხ. თ. ღლონტი. მოხსენება მოკლე და მრავალ მასალიანი იყო. მრავალი ფაქტიური მასალა მიაწოდა ყრილობას მომხსენებელმა თავისი დებულებების დასაცავად. შეკითხვებისა და მათი პასუხის შემდეგ იხსნება კამათი მოხსენების შესახებ, რომელშიაც ამხ. პიშვარიანი იღებს მონაწილეობას.

საბჭოთა სისტემის შესახებ საქმიან მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. ჭანიშვილი. პროლეტარიატის დიქტატურის (მარქსისტული თვალსაზრისით) უარისყოფა, როგორც უმცირესობისა და აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია მშრომელთა დიქტატურა საბჭოთა სისტემის ფორმებში. იხსნება დისპუტი, რომელშიაც ამხ. ვ. კოტეტიშვილი მონაწილეობს. ის არსებითად იზიარებს მოხსენების თეზისებს და საბჭოთა სისტემის აუცილებლობის ნიადაგზე სდგას. საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. პ. ჭანიშვილი. სარეზოლიუციო კომისიას დაევალა ამ საკითხზე შესაფერი რეზოლიუციის შემუშავება.

სხდომა ღამის 12 საათზე სწყდება.

პარტიული ყრილობა

ამხ. თედო ღლონტის მოხსენება დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ.

(დასასრული)

ჩვენს კრიტიკას იოტის ოდნავ არ ქონებია ლმობიერების ხასიათი, მაგრამ ეს კრიტიკა არ იყო კრიტიკა ბოროტი, უსაქმო, დილეტანტური. ჩვენ ასეთი კრიტიკა ახალი ხელისუფლებისა არ გვიწარმოებია მენშევიკების წინააღმდეგაც. ბოლშევიკებმა ამ მხრივ მეტად სასურველი და დადებითი კრიტიკული უნარი გამოიჩინეს, არ ჩაახშეს თავისუფალი სიტყვა, არ მოსპეს კრიტიკა. ამისათვის ჩვენ გადავშლით დასახასიათებლად რამდენიმე ფაქტს ჩვენი კრიტიკისას გაზეთის პირველ ნომრებიდან, რომელთაც შესახებ საზოგადოდ გავრცელდეს მოწინააღმდეგეებმა ხმა, თითქოს ჩვენ ვერ ვმუშაობდით გაბედულად. პირველი ნომერი გაზეთისა შედგენილ იქმნა საერთო ეროვნული ხასიათით. საკითხების წამოყენებისას იწყება ჩვენი კამპანია.

მე № 3 ში ვწერდით: „ჩვენ მოგვდის ცნობები, რომ სხვა და სხვა დაწესებულებებს იერიშით იღებენ ყოფილი მოხელეები მიმეტებულად არაა ქართული ეროვნებისა. საწყალ „სტატსკი სოვეტნიკებს“ და „კოლეჟსკი ასესორებს“ ისე გაუგიათ საქმე, თითქოს რევოლიუციონური გადატრიალება საქართველოში ამისათვის მოხდა, რომ ეს ქალაქის ვირთხები ისევ დაუბრუნდნენ თავის „დელოების“ ღრღნას და მწვანე მაუდის ხეხვას, რომ ქართველ მუშას და ქართველ გლეხს მათი ოპეკუნობა არც ძველად ესაჭიროებოდა და არც ეხლა სჭირიან…“

გამოცხადდა აქტი ქართული ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ. ჩვენ ვწერდით: „ქართულ ენის სახელმწიფო ენის უფლებაში დატოვება უბრალო დეკლარაცია იქნება თუ ამ კანონის განმახორციელებელნი ქართულის უცოდინარნი იქნებიან“.

სულ პატარა ფაქტი წიგნების ბეჭდვის შესახებ. გაზეთი სწერს: „ჩვენ გვაქვს ცნობა, ცნობა, რომ სახელმწიფო ტიპოგრაფიაში შეჩერებულ იქმნა პროფ. რაზმაძის წიგნის ბეჭდვა ქართულს ენაზე—„ინტეგრალური აღრიცხვა“ გამოირკვა, რომ ეს ყოფილა ქართული ენის საბოტაჟნიკების საქმე, რომელსაც ვიღაც ბოლდატიევ-ოლანეზოვების კოალიცია აწარმოებდა“.

უნივერსიტეტის შესახებ: „ამიერ-კავკასიის ყოფილ პროფესორთა ერთმა ჯგუფმა მემორანდუმი წარუდგინა სასწავლო კომისიისათვის, სადაც მოითხოვს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის გახსნას. სხვა ბნელ ძალებთან, როგორც ეტყობა, აკადემიის კონტრ-რევოლიუციონერებმაც წამოყვეს თავი. რუსული უნივერსიტეტის მოქომაგენი ცნობილი პოლიტიკანებია, რომლებში ეჩმიაძინის აკადემიის კლერიკალიზმით დამთვრალი ხალხი უფრო მეტია, ვიდრე რუსული მეცნიერების პირუთვნელი მეგობრები“.

ჩვენს გარშემო დაიწყეს თავიდანვე განგაში. გაზეთი სწერს: „ჩვენ გვამოქმედებს ქართველი ერისა და მშრომელი ხალხის ინტერესები და გულხელ-დაკრეფილნი მარტო წუწუნით ვერ დავკმაყოფილდებით მაშინ, როცა უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესიის დაპატრონებას ეშმაკები ლამობდნენ“.

აიღეთ პანკრატოვის გარშემო ატეხილი კამპანია: „ჩვენში, სადაც არაა სამოქალაქო ომი ჩეკა „ზასტენკის“ ხასიათს მიიღებდა. ქართველი ხალხის უფლებრივი შეგნება მას ვერ შეურიგდება, ის უფლებრივი შეგნება, რომელიც არაა აღზრდილი ვასილ მესამის და იოანე მრისხანეს ტრადიციებზე“.

სასამართლო. გაზეთი სწერს: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ვილაც როზენბერგს და ცვილიკმანს მიუმართავსთ იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის, რომ მათ მიანდონ საქართველოში საბჭოთა სასამართლოს მოწყობაა... ასეთი ხალხი არაა თუ საქმის ახლო არ არის გამკარებული, არამედ დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს აქედან გაძევებული“.

დამოუკიდებლობის შესახებ გაზ. № 12-ში სწერს: „სომხეთიც და აზერბეიჯანიც „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ითვლებიან, ნამდვილად კი ესენი რუსეთის პროვინციებია: იქაური მთავრობანი მოსკოვის ადგილობრივი განყოფილებებია. ჩვენ არ გვინდა სომხეთ-აზერბეიჯანის მსგავსი დამოუკიდებლობა“.

შეუძლებელია ყველაფერი ამოვწეროთ. ასეთი ხასიათი ქონდა ყოველ საკითხს. არ გამოგვიტოვებია არც ერთი მოვლენა, არ დაგვიწყნია არც ერთი საჭირბოროტო საკითხი. ყოველივე პრობლემა ღირსეულად და ტაქტიკურად არის ჩვენ მიერ გაშუქებული სუვერენულ საქართველოს თვალსაზრისით.

ჩვენ ხშირად ვეხებოდით თვით რუსეთის საკითხს, ვინაიდან ცხოვრებამ დაგვაყენა რუსეთის პრობლემის წინაშე. სოციალისტური რევოლიუციის და ორიენტაციის სასარგებლოდ ჩვენ ბევრი დადებითი სიტყვა გვაქვს წარმოთქმული. თუ ეს არ მოსწონდათ ჩვენს „ყვითლებს“, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ის ვიყავით, რაც ვართ, ის ვიქნებით, რაც ვიყავით.

არა მარტო პრესით, არა მარტო კალმით, ენით. ლექციით, კრებით, მოხსენებით, საუბრით, ხელისუფლებასთან [illegible] ჩვენ ვემსახურებოდით ქართველ ერს. ჩვენ შეგვიძლიან განვაცხადოთ: პატიოსნად ვმუშაობდით, თავგანწირვით. ყოველი ვიგინდარა იყო ჩვენს წინააღმდეგ, ყოველი პატიოსანი მოქალაქე ჩვენ თანაგრძნობით გვხვდებოდა. ჩვენ გაზეთში იბეჭდებოდა წერილები არა მარტო პარტიის წევრის, გამოჩენილი მენშევიკების წერილიც დაგვიბეჭდია, შემარჯვენე ფედერალისტისაც, სოციალისტ-რევოლიუციონერისაც. ჩვენ გასაქანს ვაძლევდით პოეზიას, ხელს უწყობდით ქართულს ხელოვნებას. ერთი სიტყვით ჩვენ მთელის ჩვენის ენერგიით ჩავერიეთ საქართველოს, როგორც საგარეო საკითხებს, ისე საშინაო საკითხებს.

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ისტორიული მუშაობის ყოველი ნაკვთი თქვენს წინაშეა გადაშლილი. დაივიწყეთ ყველაფერი, რომ ჩვენ ერთმანეთის პარტიული ძმები ვართ, დაივიწყეთ, რომ ერთმანეთის ძვირფასი და განუყრელი მეგობრები ვართ, წაშალეთ თქვენი შუბლის ფიცრიდან ყოველივე გრძნობა, ცივი, ყინულიანი გონებით წარმოიდგინეთ ჩვენი ძვირფასი სამშობლო, საუკუნოებრივად წამებული საქართველო, მოიშველიეთ თქვენი სოციალისტური მრწამსი, შეგნება, გამოცდილება და დასდევით სასტიკი, პირუთვნელი, მიუდგომელი მსჯავრი ჩვენს მუშაობას.

ამავე დროს ჩვენ უნდა მოუაროთ საკითხს წმინდა პარტიულ მნიშვნელობის მხრივ

ამხანაგებო, უნდა მოგახსენოთ: ჩვენი პარტიული მუშაობა აგებული იყო დეცენტრალიზმის პრინციპზე. ცხოვრებამ გვაიძულა ცენტრალისტური პრინციპის მიღება. ორგანიზაციები დაფუძნებული იყო, ამხანაგები დაბნეული, ათას გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. მრავალი ჩვენი ამხანაგი ციხეში მოიმწყვდა. დღესაც ზის 12 ამხანაგი სოხუმის ციხეში.

ჩვენ შევსძელით მრავალ ალაგას მოხსენებების და ლექციების მოწყობა. არ დაგვიტოვებია ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა ლეჩხუმი. საუბრები და ლექციები მოვაწყვეთ: მცხეთაში, ქიათურაში, საჩხერეში, ხარაგოულში, ქუთაისში, დვანში, ცუხრანში, ბაღდადში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ძიმითში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ასკანაში, აბაშაში, ზუგდიდში, ხობში, ხეთაში, ფოთში და სხვა ბევრ ალაგას.

ჩვენ მოვაწყვეთ მეექვსე კონფერენცია და ეს ყრილობა. ეს ყრილობა არ გადაგვიდვია არც ერთი დღე, ყოველივე ზომა წინასწარ მივიღეთ, შეძლების მიხედვით ხელს უწყობდით ადგილობრივ ორგანიზაციებს ფინანსიურად, სისტემატიურად ვაწვდიდით და ვაწვდით ჩვენს გამოცემებს, ცენტრში, ტფილისში მოვაწყვეთ თანამედროვე საკითხების შესასწავლად ბიბლიოთეკა, დავამზადეთ წევრთა სარეგისტრაციო ბლანკები, დავთრები, დავარიგეთ ორგანიზაციებში და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეთ რეგისტრაციას, რაიცა არასოდეს ქონებია ჩვენს პარტიას მთელი ოცი წლის განმავლობაში. ჩვენ შეგვიძლია გითხრათ ამხანაგო დელეგატებო: არც ერთს თქვენს შეკითხვაზე, არც ერთს თქვენს წერილზე არც ერთ თქვენ საჭიროებაზე ჩვენ არ გავჩერებულვართ ერთი წუთიც. ყველაფერს ვაკეთებდით სასწრაფოდ, ყოველ კითხვაზე ვიძლეოდით პასუხს დაუყოვნებლივ, ყოველ დავალებას ვასრულებდით. ასეთმა მდგომარეობამ შექმნა ისიც, რომ პარტია მუდმივ, ორგანიულ კავშირით შეეკრა თავის ორგანიზაციებს ადგილობრივ, რაც უმაგალითოა ჩვენი პარტიის 20 წლის ისტორიაში.

დრ. მთავარი კომიტეტი დააკანონა ამ წლის 27 თებერვლის საჯარო კრებამ ტფილისში პარტიის მთავარს ბიუროში ერთხმად.

მარტის მიწურულში ტფილისში დაბრუნდნენ პარტიის მთავარი კომიტეტის სხვა წევრებიც. გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“-ს რედაქციაში პირველი კრება ტფილისში დაბრუნებული მთავარი კომიტეტისა გაიმართა 28 მარტს. ჩვენ მანდატები ჩავაბარეთ მთავარ კომიტეტს. მოსმენილ იქმნა მოხსენება დრ. მთავარ კომიტეტის შესახებ და მთავარმა კომიტეტმა ტფილისის ყველა ორგანიზაციასთან ერთად, ერთხმად, ერთი წევრის თავ-შეკავებით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მთავარ კომიტეტის, საპროფესიო ორგანიზაციების, მუშათა კავშირის და ტფ. კომიტეტის შეერთებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება დროებით მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ, დაადგინა: მიზან-შეწონილად სთვლის დრ. მთავარ კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ საკითხებზე“. თავმჯდომარე სიმონ ფირცხალავა, მდივანი მიხეილ საყვარელიძე.

მომენტის შესახებ გაიმართა კრება ვერის ჩვენს ბიუროში 30 მარტს. სამი დღე გაგრძელდა ბრძოლა. ილაპარაკა 16 ორატორმა. ჩვენ დავამარცხეთ ძველი მთავარი კომიტეტი. მთავარი კომიტეტი გადადგა. აირჩიეს ახალი კომიტეტი, ესე იგი იგივე დრ. მთავარი კომიტეტი. კონფერენციის მოწვევა დაავალეს საგანგებო კომისიას. პარიტეტულ კომისიას, რომელშიაც შედიოდნენ ძველი კომიტეტიდან სამი კაცი, სამივე კაცი ახალ კომიტეტიდან.

შემდეგში ძველმა კომიტეტმა დაიწყო ჭუჩ-ჭუჩი იმის ლაპარაკი, რომ

ახალმა კომიტეტმა მოახდინა უფლების უზურპაცია. მაგრამ, ამხანაგებო, გიკვირდებით თუ ჩვენ უკანონოდ ვიყავით არჩეული რატომ ერთი პროტესტი არ განაცხადა კრებაზე თუნდაც ერთმა წევრმა ძველი კომიტეტისა?

თუ ჩვენ უკანონო ვიყავით, რად მოგვიწვიეს პარტიულ კომისიაში, ეს კომისია რაღად მიიღეს. სადაა მათი ლოღიკა, სადაა მათი პატიოსნება და პარტიული სინიდისი?

ჩვენ მოვიწვიეთ მე-6 კონფერენცია. რა ჩაიდინა ძველმა კომიტეტმა? კონფერენციის მოწვევის პარიტეტულმა კომისიამ, რომელშიაც ძველი კომიტეტი მუშაობდა, დაადგინა: 1) იხელმძღვანელონ წესდებით 2) კონფერენციაზე დაუშვას ის ორგანიზაციები, რომელნიც ტრადიციით ესწრებოდნენ კონფერენციებს, 3) ორგანოებმა გამოგზავნონ იმდენი, რამდენიც ყოფილ კონფერენციებზე ჰყავდათ.

სინამდვილეში რა მოხდა. ძველმა კომიტეტმა ჩაიდინა უმაგალითო, სასირცხვილო საქმე, პარტიული ფალსიფიკაცია. არ გონება დაკარგული ხალხის საქმე: სტუდენტობას უნდა გამოეგზავნა ორი კაცი გამოაგზავნიეს 5 დელეგატი. ეს რა არის. ტფილისმა და პარტიამ არ იცოდა მაგალითად მასწავლებელთა ორგანიზაცია, არასოდეს არ ყოლია მას არც ერთს კონფერენციაზე წარმომადგენელი, არ არის ამ ორგანიზაციის არც თავმჯდომარე, არც მდივანი, არც ბეჭედი. არც ბიურო, ერთი სიტყვით, არ არსებობდა ორგანიზაცია, მაგრამ ვიღაცეებს მაინც ორი დელეგატი გამოაგზავნიეს, ვიღაცეებს იმიტომ, რომ კრებასაც კი არ იყო გამოცხადებული.

ასევე იყო სახელმწიფო პოს მსახურებში, საიდანაც მდივანმა „ხალხმა" 5 დელეგატი გამოგზავნა. ყოველივე ეს ხდებოდა ტფილისში, ჩვენს წინ. რაღა იქნებოდა უჩვენოთ პროვინციაში? ეს სამარცხვინო სირცხვილი პატიოსნურად შესჭამა ძველმა კომიტეტმა. აი ასეთი „დელეგატები" მოიყვანეს მე-6 კონფერენციაზე და აი ასეთი დელეგატები იღებდნენ მონაწილეობას იმის გადაწყვეტაში თუ ვის უნდა ქონოდა კონფერენციაზე ხმა.

ამხანაგებო, ასეთი შემთხვევა დროებით კომიტეტს არ ქონია არც ერთი! ჩვენი დელეგატი არ ყოფილა არსად ასე სამარცხვინოდ არჩეული, გადელეგატებული.

ყოველივე ეს ჩვენ რამდენჯერმე განვაცხადეთ მე-6 კონფერენციაზე, ხაზგასმით და არაჩვეულებრივის გახმაურებით შევიტანეთ ოქმში და მათ ოქმებს ეს სასახელო ისტორია, დელეგატების პანამისა ძვირფას არშიად აქვს შემოვლებული.

ამხანაგებო, ჩვენი გზა არ არის გზა პადლოგების, გზა სიყალბის, გზა ძახინაციების. ჩვენ მოვიწვიეთ ყრილობა: რეგისტრაციით, წესდებით, ტრადიციით, პატიოსნურად.

აი, ამხანაგებო, მთელი ისტორია ჩვენი საქმიანობისა საერთო პოლიტიკაში, შინაური ეროვნულ საქმეებში, პარტიის ცხოვრებაში. განსაჯეთ ყოველივე, გამოიტანეთ თქვენი დადგენილება.

პარტიულ ბიუდჯეტის, საერთო ფინანსიურ მდგომარეობის და ანგარიშების შესახებ დრ. მთავარ კომიტეტის დავალებით მოგახსენებთ: საჭიროა სარევიზიო კომისიის შედგენა, რომელმაც ყოველივე ანგარიში უნდა განიხილოს და ამ სახით წარუდგინოს თავისი დასკვნით ყრილობას.

ახალი ამბები

— ნოემბრის 7-ს მთავარ პოლიტ. განათლების კომისარიატი ტფილისში გახსნის ბიბლიოთეკა ინსტრუქტორის კურსებს ბიბლიოთეკის მუშაკთა მოსამზადებლად. მსმენელთა ნაწილი მოწვეული არიან პროვინციიდან კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე ლორის-მელიქოვის ქ. № 5.

— ქართულ მუზეის შენობაში საერთო ქართველ მხატვართა გამოფენისათვის სურათები მიიღება ნოემბრის 4-მდე. იმავე დღის 2 საათზე მოხდება ჟიურის სხდომა რომელიც შევსებულია მხატვარი თოიძით. მუზეი გაიხსნება ნოემბრის 7-ს.

— ნოემბრის პირველს კონსერვატორიის დარბაზში მოსკოვის სახელმწიფო ოპერის არტისტი ვ. შარაშიძის მიერ მიცემული იყო კონცერტი არტისტს შარაშიძეს აღმოაჩნდა მშვენიერი ხმა, დიდებული ფრაზიროვკა და დიქცია.

— ტფილისში არსებული ორი კერძო ფერშლის სკოლა, სკოლა ბებია ქალთა საზოგადოებისა და თავისუფალი ფერშლის სკოლა, აკადემიური წლის დამდეგს შეერთდა და უკვე მუშაობს, როგორც გაერთიანებული სამოსწავლო დაწესებულება, რომელშიაც სწავლობს 80 კაცი.

— **ტფილისის განტვირთვა.** ტფილისის განტვირთვისთვის დეკრეტის ძალით ტფილისიდან გადასახლებულ პირთა სიები მზად არის ყველა კომისარიატებში, გარდა 8, 9 და 11 მე-12 კომისარიატის, სიები ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული, დანარჩენ კომისარიატებში უკვე გამოქვეყნებულია. განტვირთვის განხორციელების მუშაობას ხელს უშლის მცხოვრებლების მიერ შემოტანილი ბევრი საჩივრების განხილვა.

— **კომპ. სულხანიშვილის ხსენება** კვირას 6 ნოემბერს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბეში) მეორე წლის თავზე მოხდება ხსენება განსვენებულ სახალხო კომპოზიტორ ნიკოლოზ პაატის ძე სულხანიშვილისა.

რუსეთი

პოლონეთ-პეტლიურას ბანდები.

მოსკოვი 2 ნოემბერი. (რადიო) გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია: მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთის მთავრობას არა ერთხელ [illegible] რ. ს. ფ. ს. რ. და საბჭოთა უკრაინის მთავრობათა მითითება, მის ტერიტორიაზე პეტლიურას ბანდების არსებობის შესახებ, 25 ოქტომბერს მოსაზღვრე ადგილებში, რუპიატინის რაიონში მოხდა ამბები, რომელნიც ადასტურებენ საბჭოთა მთავრობების განცხადების სიმართლეს. ღამით 27 ოქტომბერს მთელ რიგ ბანდებმა, ტყვიამფრქვევებით, კარგად მომარაგებულებმა, გადმოლახეს საზღვარი რუპიატინის რაიონში და ავაზაკური თავდასხმა მოახდინეს მახლობელ სოფლებზე. ბანდებმა მოაღწიეს სოფელ შარიცამდე სადგურ იარმოლინცის ახლოს, საიდანაც განდევნილი იქნენ. 28 ოქტომბერს საზღვარზე იმყოფებოდა ბანდა 1500 კაცისაგან შემდგარი, რომელიც პოლონეთის მხრიდან მოვიდა. არის ცნობები საზღვრებთან სხვა ბანდების მოახლოვებაზე. ბანდები მოდიან მოსაზღვრე ადგილებში საომარი წესით პოლონეთის რკინის გზებით, პოლონეთის ვაგონებით. ეჭვი არ არის, რომ ისინი მოქმედებენ პოლონელ ხელისუფალთა მფარველობის ქვეშ. ბანდების ცდა [illegible] იქნება წითელი ლაშქრის ძალებით, მაგრამ პოლონეთის მთავრობამ პასუხი უნდა გაგვცეს თუ რანაირად მოეწყო ბანდები მის ტერიტორიაზე და შემოესივნენ საბჭოთა უკრაინას.

უცხოეთი

მოსკოვი. ნოემბრის 2 ს ოქტომბრის 28-ს რიგაში გაიხსნა ეკონომიური კონფერენცია რუსეთის, ფინეთის, ესტონიის, ლატვის და ლიტვის წარმომადგენლებისა. კონფერენცია მოწვეულია ლატვის მთავრობის მიერ, საბჭოთა მთავრობის ინიციატივით კონფერენციის პროგრამა ეხება მთელ წყება ეკონომიურსა და ფინანსიურ საკითხებს. კონფერენცია წარმატებით მიმდინარეობს; და ხელ ახლად ამტკიცებს მას, რომ რუსეთსა და ახლად მოვლენილ სახელმწიფოების შორის არსებობს საერთო ეკონომიური ინტერესებიდ მეგობრული განწყობილება.

ნიკოლაევი. ნოემბრის 1-ს რუმინიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვარშავიდან დაბრუნების შემდეგ ტაკე იონესკუმ დაიწყო ენერგიული კამპანია რუმინ-რუსეთის კონფერენციის წინააღმდეგ რომელიც მისდა უნებურად იყო მოწვეული. გაზეთები აცხადებენ, რომ რუმინია თავის ეკონომიურ დაზიანებაში უნდა უმადლოდეს იონესკუს პოლიტიკასო. მის წინააღმდეგ განწყობილია არა მარტო ხალხის წარმომადგენელნი აგრეთვე პარლამენტის წევრებიც.

ბორდო 1 ნოემბერს ამ დღეებში ელიან ჩინეთის დელეგაციის ჩამოსვლას ვაშინგტონში. იტალიის დელეგატები ჩავიდნენ ოთხშაბათს, ინგლისის კი სამშაბათს. 7 ნოემბერს ჩავლენ ფრანგი და ჰოლანდიელი დელეგატები, 11 ნოემბერს ჩავა ლოიდ-ჯორჯი, თუ, რომ არ დაიჭიროს მას ლონდონში ირლანდიის საკითხი. კონფერენცია 12 ნოემბერს გაიხსნება.

ვენა. უნგრეთის გაზეთები მსჯელობენ იმ ულტიმატუმის შესახებ, რომელიც ანტანტის სახელით წარედგინა უნგრეთს, ლონდონის გაზეთი „დეილი ექსპრესი" კატეგორიულად მოითხოვს კარლოს ჰაბსბურგის გაძევებას, განიარაღებას მურკერლანდის მთელი მცხოვრებლებისას და მთელი წყება დემოკრატიული რეფორმების შემოღებას.

ფრანგული პრესა აღნიშნავს, რომ ანტანტამ ბოლო უნდა მოუღოს გერმანიის და ავსტრიის პანგერმანისტების თანდათანობითი მოძრაობას.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. გერმანიის რეიხსტაგის სხდომაზე 28 ოქტ. კომუნისტური პარტიის სახელით შეიდემანმა განაცხადა, რომ კომუნისტური პარტია არა სცნობს ჟენევის გარდაწყვეტილებას ვერსალის ხელშეკრულების შესახებ. პარტია მოითხოვს ყველა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების განიარაღებას და მუშათა თავდაცვის შექმნას, ორგანიზაციული პროლეტარიატის სახელით პარტია პროტესტს აცხადებს მთავრობის მოწყობაზე რეიხსტაგის მონაწილეობის მიუღებლად.

მოსკოვი ნოემბრის 2. საფრანგეთის მთავრობამ რატიფიკაცია მოახდინა ფრანკ-ოსმალთა შეთანხმებისა, რომელიც ხელმოწერილ იქმნა 20 ოქტომბერს ანგორაში და მიღებული დიდი ეროვნული კრების მიერ. საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ შეთანხმებას მიზნად აქვს აღადგინოს მშვიდობიანობა სირიის და კილიკიის საზღვრებში. პრესას მოჰყავს ოსმალთა გაზეთებიდან ამონაწერი და ესალმება ფრანგ-ოსმალთა შეთანხმებას საერთო ინტერესის აღნიშვნით და იმ ურთიერთ სიმპატიებს, რომელიც აკავშირებს ორთავე მხარეს.

რომი. ოქტ. 31. ანტანტის სახელმწიფოებმა წინადადება მისცა მცირე ანტანტის მთავრობებს დაუყოვნებლივ შეაჩერონ მობილიზაცია უნგრეთის წინააღმდეგ მიმართული.

პარიზი. ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა აცნობეს მცირე ანტანტას, რომ ისინი არ დაუშვებენ არავითარ სამხედრო ზომებს უნგრეთის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა მცირე ანტანტისა და უნგრეთ შორის მდგომარეობა ერთობ გამწვავებულია.

ათენი. ბერძნული გაზეთი „პარიზის" ცნობით ამერიკელი ჟურნალისტი ქალი მარგალიტა ხარისონი, რომელიც ეხლახან დაბრუნდა შეერთებულ შტატებში, და რომელიც როგორც აღნიშნული იყო დატყვევებული იქმნა ბოლშევიკების მიერ რუსეთში, რამდენიმე თვით. ნიუ-იორკის გაზეთ „მირის!" რედაქტორთან საუბრის დროს ილაპარაკა შემდეგი: „ბევრი მეკითხება არსებობს თუ არა საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში და შესძლებს ის არსებობას თუ მალე დაინგრევა?

ერთნელ და სამუდამოთ ვიძლევი პასუხს ამ კითხვებზე და უნდა განვაცხადო, რომ კომუნისტური პარტია რუსეთში ერთობ ძლიერია ამ ჟამათ. საბჭოები შესძლებენ არსებობას და შეიტანენ მცირეოდენ განსხვავებას პროგრამაში რომელიც ერთობ მცირე მნიშვნელოვანი იქნება. საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში მუშაობს პროკავშირებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები რუსეთში უძლურია და სისულელე იქნებოდა თუ ვინმე ერთი წუთითაც დაიჯერებდა რომ ადამიანური ძალღონით შესაძლებელი იყოს გადატრიალება არსებული კომუნისტების წყობილებისა, რომელთაც აქვთ დიდი გავლენა რუსეთის ყველა კლასებზე და მართავენ საქმეებს მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

უნდა დაიკავოს თუ არა ამერიკამ და სხვა ევროპის სახელმწიფოებმა დამოკიდებულება ბოლშევიკებთან და უნდა დაეხმარონ თუ არა რუსეთის დამშეულთ? ამ კითხვაზე მე ვიძლევი დამტკიცებითი პასუხს, მისთვის რომ ერთობ უსამართლობა იქნებოდა უყურადღებოთ დატოვება ისეთი ხალხისა როგორიც რუსებია იმ ერთი მუჭა ხალხის კაპრიზების მიხედვით, რომლებსაც ისინი არ მოსწონთ.

ნაუენი 30 ოქ. იაპონიის წარმომადგენელმა ბარონ გაიაშმა ლონდონში ბანკეტზე განაცხადა რომ იაპონია ზავისაკენ არის მიდრეკილი და ვაშინგტონის კონფერენციაზე დაბეჯითებით მოითხოვს შეიარაღების მაქსიმალურ შემცირებას.

რომი. 30 ოქტ. ირლანდიის საკითხის გადაჭრა დღითი დღე რთულდება, ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ირლანდიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებამდე თემთა პალატაში დააყენოს საკითხი ნდობის შესახებ. ლოიდ-ჯორჯი წინანდებურად იმ აზრის არის რომ რაც შეიძლება ცოტა დაუთმოს ირლანდიას.

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

(სახკომფოსტელის საყურადღებოდ)

I

კარგათ ვიცით, რომ ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი და რადიო-ტელეგრაფი შეადგენს მთელი კაცობრიობის დედა-ბოძს და მისი სასურველ ნიადაგზე დაყენება აუცილებელი საჭიროებაა. დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ჩვენ უწყებას ბევრი ნაკლულევანება ემჩნევა, რომელიც ენერგიული და გადამწყვეტი ზომების მიღების შემდეგ შეიძლება ძირ-ფესვიანად აღმოიფხვრას.

ყოფილი მენშევიკური მთავრობის დროს, ჩვენს უწყებაში პირველი ადგილი ეჭირა სამსახურის ადგილების გაცვლა-გამოცვლას, მხოლოდ ამ გაცვლისთვის ადგილის გადამცვლელი იხდიდა გამცვლელისათვის რამდენიმე ათას მანეთს, (რა თქმა უნდა არა ოფიციალურად). ამას მოჰყვებოდა ბრძანება „ბრძანებით ამა რიცხვიდან № ესა და ეს კაცი გადაყვანილია ამ ადგილზე სამსახურის სასარგებლოთო". და ამიდან როგორი „სარგებლობაც" ექნებოდა კარგათ იცით. როგორც ვიცით დღევანდელ აუტანელ პირობების დროს, მეტად გასაჭირია, განსაკუთრებით მოსამსახურე პირთათვის, თავის სახლიდან მოშორებით ცხოვრება იმ დროს, როდესაც ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვთ არავითარი საშვალება დააკმაყოფილოს მუშა-მოსამსახურენი საჭირო სურსათ-სანოვაგით, (ეს შემჩნეულია უმეტეს ნაწილად სოფლებში, სადაც არ შეუძლიათ თავის დროზე მისწვდნენ ცენტრს და მოსამსახურეს უხდება ხშირი კვირაობით ისიმშილოს) და მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თავისი სახლის მახლობლად ცხოვრება. უფრო მეტი გასაჭირია მისთვის ცხოვრება, როდესაც მთელი ოჯახის მარჩენალი არის და უხდება კარი გამოკეტოს, კერა გააციოს და სამსახურის ადგილისაკენ გასწიოს. სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნა ხომ ზედმეტია და ნამდვილი მოქალაქე არც კი ითხოვს ამას თუ კი სურს ახალგაზრდა რესპუბლიკის აღშენებლობაში ცოტა წვლილი მაინც შეიტანოს. როგორც ვთქვით აუცილებელი საჭიროებაა თავის ბინასთან დაახლოვება, მაგრამ ამ დროს გამოდის მეორე კონკურენტი, აძლევს მილიონობით ფულს სასურველ ადგილზე მოსამსახურეს (არა ადგილობრივს) და სთხოვს ადგილის გაცვლას, სამაგიეროთ მოჰყავს მხოლოდ ის, რომ „ჩემ სახლზე ვიქნები დაშორებული 10—15 ვერსით და სახლში ვივლით და მკვიდრ მცხოვრებს, რომელიც არის დაწესებულებიდან 200—300 საჟენით და იქვე აქვს ადგილ-მამული დასამუშავებელი, საშვალება ეკარგება თავის კერას დაუახლოვდეს (ვინაიდან არ აქვს მილიონები) და მილიონები კი აახლოვებს არამკვიდრთ მოსამსახურეს მხოლოდ კაპრიზისათვის.

ჩემი აზრით ეს ყოვლად დაუშვებელია და სთანადო უწყების სახკომმა უნდა მიიღოს სასტიკი სთანადო ზომები, უნდა აღიკვეთოს ეს მოვლენა შემდეგნაირად. სრულიად აღიკვეთოს თავის სურვილით ადგილების გაცვლა-გამოცვლა, როგორც ვიცით დღევანდელ პირობებში მოსამსახურეს მილიონობით ფულის გადახდა მეტად ძნელია და თუ აძლევენ, ალბად სხვა „საშვალებით", და უნდა ითქვას, თუ მილიონები არის გადასახდელი, მაშინ მისთვის არ არის საჭირო სახლთან 10—15 ვერსით დაახლოვება და უნდა შევეცადოთ ასეთი ადგილები მივცეთ უფრო, მათ, ვისთვისაც აუცილებელი საჭიროება არის და არ აქვს საშვალება ეს დაწყევლილი მილიონები ფლობონ. ამით გვექნება საშვალება სამსახურის ასრულება უფრო პირნათლად დავაყენოთ და მე მგონია არავითარი დეფექტი აღარ ექნება, რადგან მოსამსახურეს არ ექნება მუდამ დღე საფიქრალი და სავალალო დღიური ლუკმა, გულდამშვიდებით იდგეს თავის ადგილზე.

II

წინა წერილში მე შევეხე მას, თუ [illegible] ზოგიერთ [illegible] თანამშრომლებში [illegible] და დღევანდელ მუშურ-გლეხურ წესწყობილების დროსაც ვერ მოუნელებიათ და გამოვთქვი აზრი, რომ თუ გვსურს სამსახურის სასურველ ნიადაგზე დაყენება, მივცეთ საშვალება მოსამსახურეთ ნუ იფიქრებენ დღიურ ლუკმაზე და გულდამშვიდებით იდგეს თავის ადგილზე და ნუ შეეშინდებათ კერის გაცივებისა, სახლკარის დაქცევისა და 5—6 სულის სიმშილით დახოცვისა. ეხლა კი მ ნდა შევეხო არა ნაკლებ მოვლენას, რომელმაც სამწუხაროთ ფეხი მოიკიდა ჩვენ უწყებაში და უმთავრესათ გავრცელებულია პროვინციის დაწესებულებებში.

ხშირია საჩივრები რომ კორესპონდენცია, როგორც არის დეპეშები, წერილები, და სხვა ძლიერ დაგვიანებით ბარდება თავის მიმღებლებს, ან სრულებით არ ეცნობება დავალებანი და სხვა და თუ ჩაბარდა ისიც ძალზე დამახინჯებული. როგორც დაკვირვება მაქვს ეს სრულიად დაუშვებელი მოვლენა გამოწვეულია შემდეგით: ჩვენც კარგათ ვიცით, თუ დღევანდელი ჯამაგირები რამდენით განისაზღვრება (მაგალითად ფ.-ტ. განყოფილების გამგე ღებულობს 30,000 მანეთს 15 პროც. გამოკლებით) მოგეხსენებათ 25,500 მან. თვიურად კაცს არაფერს შველის და ზოგიერთი დაწესებულების გამგეს დარაჯათ ყავს ნაჩვენები თავისი მოწაფე შვილი, (რასაკვირველია არა ოფიციალურად) ისიც მცირე წლოვანი, და დარაჯის ფულს მას აღებინებს, მასთან ერთად ყავს თავის შტატში თანამშრომლად ცოლი, რომელმაც თითქმის მორზეს აპარატის ასო „ა" როგორ იწერება არც ის იცის. ამ სამი კაცის მუშაობა რომ ერთად შევ ერთოთ, ეკისრება ერთ კაცს, დაწესებულების გამგეს, რომელიც ასრულებს დარაჯობაცას, თანამშრომლობასაც, და დაწესებულებასაც განაგებს და ერთი კაცი ამებს ვერ ასრულებს. დეპეშები არ ბარდება თავის პატრონს მისთვის რომ დარაჯი შვილი,—მოწაფეთა და 8—14 საათამდე სკოლაში დადის და საღამო ხანს კი გაკვეთილების დამზადებას უნდება; დეპეშები მახინჯდება ან მისთვის, რომ თანამშრომელმა—ცოლმა აპარატზე მუშაობა არ იცის. ეს აქსიომაა. აშკარა ბოროტმოქმედებაა არსებული წეს-წყობილების წინაშე. აუცილებელი საჭიროებაა ეს დაუშვებელი მოვლენა აღიკვეთოს შემდეგნაირათ: აუცილებლათ გამოთხოვილ იქნეს 1919 წლიდან მიღებული თანამშრომელი ქალები, რომლებიც მსახურებენ ქმრებთან ერთად, ხელ-ახალ გამოსაცდელათ (1919 წელს ვამბობ, რომ ყოფილი მთავრობის დროს დიდი პროტექცია იყო გამეფებული და იცოდა თუ არა ვინმემ სამსახური, ყველას ღებულობდნენ და ვინც არა მცოდნე აღმოჩნდება სამსახურისა დაუყონებლივ გადაყენებულ იქნეს და ჩვენ დაგვრჩება ნამდვილი მცოდნე ფ. ტ. საქმეებისა, როგორც ქალი ისე კაცი და შეგვაძლებინებს ცოტა თუ ბევრათ საყვედურებს, რომელიც ეხლა გავრცელებულია საზოგადოებაში, ბოლო მოვუღოთ. ფარულად გამოიძიოს თანამშრომლების დაკითხვით (ეს საჭიროა განსაკუთრებით დაბებში და სოფლებში) თუ რომელ დაწესებულებაში მსახურობს დარაჯათ მოწაფე—შვილები, რომლის მეოხებითაც ჩვენ ჩირქი გვეცხება, და დამნაშავე დაწესებულების გამგე სასტიკ პასუხისგებაში მიეცეს; ესეც მოგვცემს საშვალებას უწყება გავწმინდოთ მავნე ელემენტებისაგან და სხვებს მაგალითი მივცეთ, რომ ასეთი საზიზღარი ბოროტმომქმედნი ღირსი არიან რევოლიუციონური სასჯელისა.

ფიძი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

საბჭოთა აღმშენებლობისა და მეურნეობის

გამოფენა

გაიხსნება ნოემბრის 7, 8, და 9-ს, დილით 10 საათზე, დღის 4 საათამდე, ყოფილ არტისტიულ საზოგად. სახლში (რუსთველის პროსპ. 19) ნარკომატების წარმომადგენლები გამოფენაზე ახსნა-განმარტებას მიაწოდებენ თავიანთ დაწესებულებებს. ზოგიერთი ნარკომატები თავის ნაშრომ-მოქმედების ცდასაც აჩვენებენ მაგალითად, განათლების კომისარიატის სამუსიკო განათლებას მოაწყობს გალობას (გუნდი და სოლო). სასურველია, რომ ნოემბრის 8 და 9-ს გამოფენას ინახულებდენ კოლლექტივები:—მუშები-კავშირებთან, ქარხანა-ზავოდებით, წითელი-არმიები—ნაწილობრივად, მოსამსახურენი-დაწესებულებებით, მოწაფეები—სკოლებით.

ტირაჟი 1000 [illegible] 4. ს. ფ. ს. რ.